]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 333
27/02/2018

333-01-4-201802271327

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კორუფციის
წინააღმდეგ ბრძოლის 2018-2019 წლების სტრატეგიისა და
სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს გაეროს განვითარების პროგრამასა და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე შემუშავებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის 2018-2019 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად /დანართი თან ერთვის/.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ქ. ქუთაისი, ვ. კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2019წწ.

სარჩევი

შესავალი ----------3

1. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის მიზანი, ამოცანები და პრინციპები ----------5
2. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი ----------7
3. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული პრიორიტეტები --------8
4. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, მონიტორინგი და შეფასება ----------14
5. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა 2018-2019 ----------15

შესავალი

კორუფცია უკიდურესად უარყოფით გავლენას ახდენს თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნის განვითარებაზე, კანონის უზენაესობის განმტკიცებასა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე.[1]

კორუფცია ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, ბიზნესის განვითარებასა და ინვესტიციების ზრდას ქვეყანაში, რითაც ყველაზე მეტად მოსახლეობის ღარიბი და დაუცველი ნაწილი ზარალდება. ამასთან, ქრთამის აღება და მიცემა, სახელმწიფო რესურსების მისაკუთრება, ინტერესთა კონფლიქტი, ზეგავლენით ვაჭრობა, ფავორიტიზმისა და ნეპოტიზმის შემთხვევები ძირს უთხრის საჯარო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობას და დიდ უკმაყოფილებას იწვევს საჯარო სამსახურებისადმი. შესაბამისად, კორუფციის პრევენცია, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებში კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრა როგორც ქვეყნის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია ხელს უწყობს კორუფციასთან ბრძოლის პროცესს, რადგან წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელო დოკუმენტს პასუხისმგებელ და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათვის.

აღსანიშნავია, რომ რამდენადაც მტკიცე არ უნდა იყოს კორუფციასთან ბრძოლის და მისი პრევენციის პოლიტიკური ნება, შეზღუდული რესურსების პირობებში კორუფციის პრევენციის ყველა ეფექტური მექანიზმის ერთდროულად დანერგვა შეუძლებელია. ამიტომ მნიშვნელოვანია, სტრატეგიის ზოგადი ჩარჩოს გათვალისწინებით, სამწლიან სამოქმედო გეგმაში აისახოს პირველი რიგის ამოცანები, შედეგები, რომელთა მიღწევაც ყველაზე პრიორიტეტულია. აგრეთვე მნიშვნელოვანია რომ სამოქმედო გეგმა გადაისინჯოს ყოველწლიურად.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიაშედგება ოთხი ნაწილისაგან: 1) კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის სტრატეგიული დოკუმენტების მიზანი, ამოცანები, პრინციპები და შემუშავების პროცესი; 2) სტრატეგიის დოკუმენტის პრიორიტეტები, 3) დოკუმენტების მონიტორინგის მექანიზმი; 4) სტრატეგიის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და სპეციალურ მეთოდოლოგიას, რომელიც შემუშავებული იქნა UNDP პროექტის ფარგლებში და ხორციელდება არაერთ ევროპულ ქვეყანაში.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია განახლებადი დოკუმენტია და მისი განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი ცვლილებების შეტანა. სტრატეგიის განახლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ანგარიშები, შეფასებები, მონიტორინგისა და კვლევების შედეგები.

ქ. ქუთაისის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის საფუძველზე ქუთაისის მერია შეიმუშავებს და დაამტკიცებს სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმას სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იქნება კონკრეტული ნაბიჯები სტრატეგიაში იდენტიფიცირებული მიზნების მისაღწევად, მათი შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებები/ორგანიზაციები, რისკები, ფინანსური რესურსის წყარო და განხორციელების ვადები. სამოქმედო გეგმა განახლდება ქუთაისის მერიის მიერ ყოველწლიურად.

1. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის მიზანი, ამოცანები და პრინციპები

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის მთავარი **მიზანია** კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი პოლიტიკის შექმნა, სახელმწიფო ორგანოთა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდით საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება/ჩართულობა,გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის ჩამოყალიბება.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის **ამოცანებია:**

- კორუფციის პრევენცია კორუფციული რისკების შემცირების გზით;
- მუნიციპალიტეტის სამსახურების კეთილსინდისიერების, ღიაობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების განმტკიცება;
- კორუფციის პრევენციის პროცესში სამოქალაქო სექტორის მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- კორუფციული რისკების შესახებ საზოგადოებრივი ინფორმირებულობის გაზრდა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ **პრინციპებს/მიდგომებს:**

კომპლექსური მიდგომა: კორუფცია მასშტაბური მოვლენაა, ხოლო მისი გამომწვევი მიზეზები - მრავალმხრივი. შესაბამისად, კორუფციის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს კომპლექსურ და შეთანხმებულ მიდგომას სახელმწიფო უწყებების მიერ საჯარო მმართველობის სხვადასხვა სფეროებში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.[2]

კორუფციის შემცირებაზე ორიენტირებული მიდგომა: ეფექტიანი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია სტრატეგიულ დოკუმენტებში დასახული მიზნები და ღონისძიებები არ იყოს ზოგადი ხასიათის და ემსახურებოდეს პრიორიტეტული სფეროების არა ზოგად განვითარებას, არამედ განსაზღვრულ სფეროებში კონკრეტული კორუფციული რისკების შემცირებას, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდას.

ანგარიშგება და კეთილსინდისიერება: ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურების ანგარიშგება და გამჭვირვალობა ხელს უწყობს კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრასა და მის პრევენციას. შესაბამისად, აქცენტი უნდა გაკეთდეს პასუხისმგებელ უწყებებში პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობის გაზრდაზე, ანგარიშვალდებულების პრინციპების დანერგვასა და დისკრეციული უფლებამოსილების დაბალი ხარისხის უზრუნველყოფაზე.[3]

მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომა: კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს კორუფციის გამომწვევი ფაქტორებისა და რისკების შესწავლას, განხორციელებული ღონისძიებების ანალიზსა და წინა სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების შეფასებას.[4]

შედეგზე ორიენტირებული მიდგომა: კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვისას დასახული უნდა იყოს რეალისტური მიზნები და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონკრეტულ ღონისძიებებთან დაკავშირებული საბაზისო/არსებული მონაცემები, რომელიც შემდგომ ღონისძიებების შედეგების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.[5]

სამოქალაქო სექტორის ჩართულობა: ეფექტიანი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა მოითხოვს თანამშრომლობას სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ბიზნეს სექტორს შორის. ამასთან, სამოქალაქო სექტორის მონაწილეობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაში, არამედ მათი შესრულებისა და მონიტორინგის, სხვადასხვა ანტიკორუფციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.[6]

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა: სტრატეგიის შემუშავების, განხორციელების პროცესში გათვალისწინებულ იქნას ადამიანის უფლებები (ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ჩართულობა და სხვ.

.

2. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტები შემუშავებულ იქნა გაეროს განვითარების პროგრამის UNDP საპილოტე პროექტის ფარგლებში, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობებში კორუფციის რისკების იდენტიფიცირებასა და პრევენციას ემსახურება. 2016 წლის ოქტომბერში გაეროს განვითარების პროგრამასა და ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დაიწყო პროექტის განხორციელება, რომელიც შემდეგი ეტაპებისგან შედგებოდა:

1. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტების შემუშავების ევროპაში არაერთ ქვეყანაში ადაპტირებული მეთოდოლოგიის **Island of Integrity and Effectiveness** გაცნობა მუნიციპალიტეტის სამსახურის ხელმძღვანელებისათვის და სამუშაო ჯგუფის ფორმირება ვიცე-მერის ხელმძრვანელობით;
2. ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ განხოციელებული სერვისების კორუფციისადმი მოწყვლადობის და არსებული რისკების ზოგადი და ჩაღმავებული კვლევა და პრიორიტეტების იდენტიფიცირება;
3. იდენტიფიცირებული პრიორიტეტების საფუძველზე ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის დოკუმენტების შემუშავება და ვალიდიზაცია.
4. ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის დოკუმენტების დამტკიცება.

პროექტის ოთხივე ეტაპზე ჩართული იყო ქ. ქუთაისში მოქმედი სამოქალაქო სექტორი - ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეგიონული ფილიალები. მონაწილეობას იღებდნენ როგორც საინფორმაციო შეხვედრებში ისე პროექტით განსაზღვრულ კვლევაში, პრიორიტეტების იდენტიფიცირებაში და სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

3. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული პრიორიტეტები

კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეფექტური პოლიტიკის შექმნის მიზნით, ქუთაისის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვლინდა სამი პრიორიტეტი:

1. ღიაობა, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

გრძელვადიანი მიზანი: ადგილობრივი თვითმმართველობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის მიღწევა, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებით, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფითა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდით

არსებული მდგომარეობა: სახელმწიფო უწყებათა საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულის გაზრდის მიზნით 2012-2013 წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა - 2013 წლიდან ყველა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია პროაქტიულად გამოაქვეყნოს საჯარო ინფორმაცია და შეიმუშავოს ინფორმაციის ელექტრონული წესით მოთხოვნისთვის საჭირო მექანიზმი; ამასთან, 2013 წელს სამოქალაქო და სამთავრობო სექტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომლის დანართი მოიცავს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას.[7]

გარდა ამისა, 2013 წლის სექტემბერიდან მოქალაქეთა პორტალზე - www.my.gov.ge,ინტეგრირებულ იქნა საჯარო ორგანიზაციებთან ელექტრონული კომუნიკაციის სერვისი, რაც საჯარო ინფორმაციის ელექტრონული გამოთხოვის შესაძლებლობას იძლევა.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის მიზნით შეიქმნა მერიასთან არსებული სხვადასხვა საბჭოები: მრჩეველთა საბჭო, ბიზნეს საბჭო, გენდერული საკონსულტაციო საბჭო, შშმ პირთა საბჭო.

2014 წლიდან ყოველთვიურად იმართება შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან ანგარიშგებისა და კონსულტირების მიზნით.

ამოცანები:

1. მუნიციპალური სერვისების, რეგულაციების, პროცედურების თაობაზე მოქალაქეების ინფორმირებულობის გაზრდა;
2. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა
3. ბიზნეს სექტორთან პროაქტიული თანამშრომლობა;
4. ვებ-გვერდის დახვეწა/განახლება.

2. ნებართვები

გრძელვადიანი მიზანი: ნებართვების გამცემი უწყებების მუშაობის გამჭვირვალობისა და

ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა.

არსებული მდგომარეობა: ქუთაისის მუნიციპალიტეტში ნებართვების გაცემაზე პასუხისმგებელია რამდენიმე სამსახური: ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური; ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური; არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახური და ზედამხვედველობის სამსახური. აღნიშნული სამსახურების მიერ გაიცემა სხვადასხვა სახის ნებართვა (მათ შორის მშენებლობის, გარე ვაჭრობის, გარე რეკლამის, ხის მოჭრის, სატრასპორტო ხაზებზე ნებართვა,შენობების ლეგალიზება და სხვ,).

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების შედეგად დაიხვეწა საკანონმდებლო ბაზა და რეგულაციები, რომლებიც ნებართვების გაცემის სპეციფიურ წესებს ადგენს. დღეისათვის ლიცენზიები და ნებართვები საჭიროა მხოლოდ მაღალი რისკის შემცველი პროდუქციისა და მომსახურების, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და სპეციფიკური საქმიანობის წარმოებისათვის. მნიშვნელოვლად გამარტივებულია ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები, დამკვიდრდა ,,ერთი სარკმლის" პრინციპი. ქუთაისის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს დაინერგა მშენებლობის, მიწის/შენობის ლეგალიზების ელექტრონული სისტემაwww.my.kutaisi.gov.ge რაც ნამდვილად წინ გადადგმულნაბიჯად უნდა შეფასდეს.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სერვისების, ნებართვების, ზედამხედველობის თაობაზე, რაც მუნიციპალიტეტის ინსტიტუტებისადმი ნდობის არქონის საფუძველს ქმნის.

ამოცანები:

1. ნებართვების გაცემის რეგულაციების გადახედვა და დახვეწა;
2. არსებული თუ შემუშავებული რეგულაციების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა;
3. ქ. ქუთაისის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავება
4. ელექტრონული პროგრამების დახვეწა და მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება
5. ნებართვებზე საჩივრების განხილვის პროცედურების დახვეწა

3. კონტროლი და ზედამხედველობა

გრძელვადიანი მიზანი: კონტროლისა და ზედამხედველობის უწყებების მუშაობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, კორუფციული გარიგებების მინიმუმამდე დაყვანა დისკრეციის ხარისხის შემცირებითა და რეგულაციების დახვეწის გზით.

არსებული მდგომარეობა:

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციები მრავალფეროვანია: გარე რეკლამის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების, გარე ვაჭრობის, ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათი არსებული წესით შესაბამისობაში მოყვანაზე კონტროლი; ზედამხედველობა ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ განხორციელებულ შემდეგ საქმიანობაზე: დანგრეული, დაუმთავრებელი ან დამთავრებული სამუშაო ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვება, ქალაქის მწვანე ნარგავების დაზიანება ან თვითნებური გაჩეხვა, სამშენებლო ან შესაკეთებელი სამუშაოების ჩატარების დროს ტერიტორიის დაზიანება; ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე განლაგებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვაზე ზედამხედველობა, კომპეტენციის ფარგლებში; არასაგადასახადო შემოსავლების ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზების კოორდინირება, კომპეტენციის ფარგლებში; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მოიჯარეების მიერ მიწათსარგებლობის წესების დარღვევისა და იჯარის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გატარება, კომპეტენციის ფარგლებში; იჯარით გაცემული არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწების იჯარის ქირის ამოღების ორგანიზება და სხვა.

ზემოხსენებული ფუნქციების შესრულებისას არსებობს როგორც გარიგებების, ისე დისკრეციის დაბალი ხარისხის, არაერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობის რისკები. გარე ვაჭრობის, გარე რეკლამის და სხვა მუნიციპალური მოსაკრებლებლების ელექტრონული გადახდის კონტროლის მექანიზმი საჭიროებს დახვეწას და განვითარებას. პრობლემას წარმოდგენს უკანონო მშენებლობების პრევენციის მექანიზმის არ არსებობაც.

ამოცანები:

1. არსებული რისკების კრიტერიუმების გადაფასება/შეფასება და კონტროლის მექანიზმების დახვეწა;
2. მუნიციპალური მოსაკრებლების ელ. სისტემის შემუშავება;
3. არსებული და განახლებული სერვისების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა;

4. ადამიანური რესურსების მართვა

გრძელვადიანი მიზანი: ეფექტიანი, გაჭვირვალე, ანგარიშვალდებული, მაღალ ხარისხზე

ორიენტირებული, პოლიტიკურად ნეიტრალური და პროფესიულ სტანდარტებზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმის შექმნა

არსებული მდგომარეობა: 2014 წლიდან დღემდე საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა მკვეთრად გააუმჯობესა სისტემის ფუნქციონირება. შემუშავდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეეხო საჯარო სამსახურში ღია კონკურსის საფუძველზე თანამშრომელთა აყვანას, გამარტივდა კონკურსის გამოცხადებისა და განაცხადის გაკეთების პროცესი, ასევე შეიქმნა საჯარო სამსახურის დასაქმების პორტალი www.hr.gov.ge, დაინერგა თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონული სისტემა www.declaration.gov.ge, ასევე მამხილებელთა დაცვის პრაქტის გაუმჯობესების მიზნით შექმნა ელექტრონული სისტემა www.mkhileba.gov.ge .

2014 წლის შემოდგომაზე ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობაში თანამშრომელთა შესარჩევი კონურსი და არსებული თანამშრომლების ატესტაცია ჩატარდა. მერიაში 179 და საკრებულოს 5 ვაკანსიაზე შერჩეულ იქნა ახალი თანამშრომლები, რომლებმაც გაირეს შემდეგი ეტაპები: წარდგენილი დოკუმენტაციის გარდაჩევა, ტესტირება და ტესტირების წარმატების გავლის შემთხვევაში კი გაირეს გასაუბრება საკონკურსო-საატესტაციო კომისიასთან, რომელიც 6 წევრით იყო დაკომპლექტებული. 2017 წლის ბოლოს განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ მერიაში 294 თანამშრომელია დასაქმებული.

2015 წლიდან ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის მიზნით დაინერგა სპეციალური ელექტრონული სისტემაwww.hrms.ge, რომელის შედეგადაც გამარტივდა პერსონალის თაობაზე ინფორმაციის მართვა.

ამოცანები:

1. თანამშრომელთა თვითშეფასების მექანიზმის შემუშავება და პრემირების სისტემის გამართვა
2. მამხილებელთა ინსტიტუტის მხარდაჭერა
3. ეთიკისა და ქცევის კოდექსის ზოგადი წესების შემუშავება და დანერგვა

4. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, მონიტორინგი და შეფასება

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ სტრატეგიული დოკუმენტების არსებობასა და შემუშავების პროცესზე, არამედ მათი შესრულების ხარისხზე და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მიღწეულ

შედეგებზე.[8]

სტრატეგიული დოკუმენტების მონიტორინგი და შეფასება მიზნად ისახავს შეაფასოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიითა და მისი შესრულების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების იმპლემენტაციის პროცესი, ასევე მიღწეული შედეგები, მათი ეფექტიანობა და გამოავლინოს არსებული ხარვეზები.

მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი უნდა მოიცავდეს შემდეგ სამ კომპონენტს: **1) პროგრესის შესახებ ანგარიში; 2) მონიტორინგის ანგარიში; 3) შეფასების ანგარიში**.

სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელია ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახური. ამასთან, თითოეულ სამსახურში გამოყოფილია საკონტაქტო პირი, რომელიც სრულად არის ინფორმირებული შესაბამისი სამსახურის სამოქმედო გეგმით დაკისრებული ვალდებულებების შესახებ და პასუხისმგებელია მათი შესრულების თაობაზე წლიური ანგარიშების მომზადებაზე. სამსახურების მიერ მომზადებული ანგარიშები წარედგინება ქ.ქუთაისის მერს.

IV. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა 2018-2019

ქ. ქუთაისის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის განხორციელების 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა										
პრიორიტეტი	ამოცანები	ღონისძიება	განხორციელების პერიოდი		ღონისძიების შედეგი	შედეგის ინდიკატორი		პასუხის მგებელი უწყება	დაფინანსების წყარო	
			2018	2019					მუნიციპალური ბიუჯეტი	დონორი
ღიაობა, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	მუნიციპალური სერვისების, რეგულაციების, პროცედურების თაობაზე მოქალაქეების ინფორმირებულობის გაზრდა	პროაქტიული ინფორმაციის ნუსხის გაზრდა	X		ინფორმაციის შესახებ ნუსხა გაზრდილია	გამოქვეყნებული პროაქტიული ინფორმაციის ჩამონათვალი	ადმინისტრაციული სამსახური			
		საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის შესაძლებლობების განვითარება	X	X	საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი გადამზადებულია და მისი კვალიფიკაცია /ცოდნაამაღლებულია	საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები				
		საჯარო ინფორმაციის შესახებ ელექტრონული მონაცემების შექმნა და დამუშავება	X		საჯარო ინფორმაციის შესახებ ელექტრონული მონაცემები შექმნილია და დამუშავებებულია	დამუშავებული და გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის რაოდენობა				
		დამუშავებული საჯარო ინფორმაციის ინტეგრირებავებ-გვერდთან	X		ღია მონაცემები შექმნილია და ინტეგრირებულია ვებ-გვერდთან	ვებ-გვერდი				

		(www.data.gov.ge ფორმატის ბაზაზე)							
		მობილური აპლიკაციის შექმნა	X		მობილური აპლიკაცია შექმნილია	მობილური აპლიკაცია			
	გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა	გადაწყვეტილების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ელექტრონული მექანიზმების შექმნა და ეფექტიანი ამოქმედება (ელექტრონული გამოკითხვა, სოც.გამოკითხვა, პეტიცია, პირდაპირი ტრანსლაცია)	X		გადაწყვეტილების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ელექტრონული მექანიზმები შექმნილია და ამოქმედებულია	ჩატარებული ელექტრონული გამოკითხვების, სოც.გამოკითხვებიs, პეტიციების, პირდაპირი ტრანსლაციების რაოდენობა	ადმინის ტრაციულისამსახური, ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური		
		ელ.პეტიციებისვებ-გვერდზეინტეგრირება	X		ელ.პეტიციებისვებ-გვერდისშექმნილია	ელ.პეტიციებისვებ-გვერდი			X
	ბიზნეს სექტორთან პროაქტიულით ანამშრომლობა	ბიზნესის კონსულტირება-კვარტალური შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება	X	X	ბიზნესთან კვარტალური შეხვედრები ჩატარებულია	ჩატარებული შეხვედრების ამსახველი ოქმები			
	ვებ-გვერდის დახვეწა/განახლება	არსებული ვებ. გვერდის განახლება	X		ქ.ქუთაისის ვებ-გვერდი განახლებულია	ვებ-გვერდი			
		მერიის მიერ დაფუძნებული ააიპ-ების და შპს-ების web-გვერდების შექმნა და მერიის გვერდზე ლინკების სახით დამატება	X		ააიპ-ებისვებ-გვერდები შექმნილია	მერიის ვებ-გვერდი და ააიპ-ებისვებ-გვერდები			
ნებართვები	**ნებართვების**	არსებული ნებართვის გაცემის წესების რევიზია და ანალიზი	X		ნებართვების გაცემის რეგულაციები გადახედილია	შემუშავებული რეკომენდაციები	ეკონომიკური განვითარებისა და ზედამხვე		X

		ანალიზის საფუძველზე რეგულაციების გამართვა	X		ნებართვების გაცემი სწესი შეცვლილია	ნებართვის წესში შესული ცვლილებების პაკეტი	დველობის სამსახურები		
	არსებული თუ შემუშავებული რეგულაციების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა	ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება	X	X	ინფორმაცია ვებ-გვერდზე განთავსებულია	ვებ-გვერდი	ადმინისტრაციული სამსახური		
		ტელე-რადიო და სხვა მედიის საშუალებების გამოყენება	X	X	ტელე-რადიო და სხვა მედიის საშუალებების გამოყენებით ინფორმაცია გავრცელებულია	გადაცემების და სტატიების რაოდენობა			
		მოქალაქეთა მისაღებში ბუკლეტების ან პლაკატების საშუალებით ინფორმაციის გავრცელება	X	X	მოქალაქეთა მისაღებში ბუკლეტების ან პლაკატების საშუალებით ინფორმაცია გავრცელებულია	ბუკლეტების რაოდენობა, პლაკატების რაოდენობა			
	ქ. ქუთაისის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავება	სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება	X		ჩატარებულია გეგმის შესამუშავებლად ორგანიზებული შეხვედრები	ჩატარებული შეხვედრების რეგისტრაციის ფურცლები და ოქმები	ზედამხედველობის სამსახური, ადმინისტრაციულის სამსახური		
		ნებართვების გაცემის წესის ჰარმონიზაცია გენერალური გეგმის მოთხოვნებთან		x	ნებართვების გაცემის წესი ჰარმონიზაციაშია გენერალური გეგმის მოთხოვნებთან	შემუშავებული რეგულაციის დოკუმენტები			
	ელექტრონული პროგრამების დახვეწა და მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება	დანერგილი ელექტრონული პროგრამების დახვეწა	X	X	დანერგილი ელექტრონული პროგრამები განახლებულია	ელ-პროგრამები			
		მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება ელ. ბაზებთან მუშაობის კუთხით	X	X	მოხელეების კვალიფიკაცია ამაღლებულია ელ. ბაზებთან მუშაობის კუთხით	გადამზადებული მოხელეების სერტიფიკატები ან/და სია			

	ნებართვებზე საჩივრების განხილვის პროცედურების დახვეწა	ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის პროცედურების დახვეწა			ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის პროცედურები დახვეწილია	შესაბამისი დოკუმენტი	ზედამხედველობის სამსახური ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის და ადმინისტრაციული სამსახური		
		ელეტრონული გასაჩივრების ვებ გვერდზე ინტეგრირება	X	X	ელექტრონული გასაჩივრების შესაძლებლობა გაზრდილია	შესაბამისი ელ-პორტალი			
		ახალი შესაძლებლობის თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა	X	X	ახალი შესაძლებლობის თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობა გაზრდილია	საჩივრების რაოდენობა			
კონტროლი და ზედამხედველობა	**არსებული რისკების კრიტერიუმების გადაფასება/შეფასება და კონტროლის მექანიზმების დახვეწა**	კონტროლისა და ზედამხედველობის სფეროში არსებული რისკების კრიტერიუმების შეფასება - კვლევის დოკუმენტის შემუშავება	X		რისკების კრიტერიუმების გადაფასება/შეფასების კვლევის დოკუმენტი შემუშავებულია	შემუშავებული კვლევის დოკუმენტი და რეკომენდაციები	ეკონომიკური და ზედამხვედველობის შესაბამისი სამსახურები		X
		კვლევის საფუძველზე არსებული რისკების გათვალისწინებით მარეგულირებელი დოკუმენტების დახვეწა (რეგულაციები, პროცედურები)	X	X	კონტროლისა და ზედამხედველობის მარეგულირებული დოკუმენტები ანალიზის შედეგები ასახულია	განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტები			X

	მუნიციპალური მოსაკრებლების ელ. სისტემის შემუშავება	მუნიციპალიტეტის მიერ ჯარიმების გადახდის ელ. სერვისი შექმნა		X	მუნიციპალიტეტის მიერ ჯარიმების გადახდის ელ. სერვისი შექმნილია	ელ-სისტემა-შესაბამისი პორტალი	ეკონომიკური და ზედამხვედველობის შესაბამისი სამსახურები		
		გადამხდელთა მონიტორინგის ელეტრონული ბაზის ფორმირება და დახვეწა	X		გადამხდელთა მონიტორინგის ელეტრონული ბაზა ჩამოყალიბებულია	ელ-ბაზა			
		გადახდის ჯარიმების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომლობის უზრუნველყოფა მერიის შესაბამის სტრუქტურული ერთეულებისთვის	X		გადახდის ჯარიმების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომლობის უზრუნველყოფილია მერიის შესაბამის სტრუქტურული ერთეულებისთვის	ელ-პორტალი			
	არსებული და განახლებული სერვისების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა	ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება	X	X	ანგარიშები მომზადებულია და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის	მომზადებულია ნგარიშები	ადმინისტრაციული სამსახური		
		ტელე-რადიოდადასხვამასმედიისსაშუალებებისგამოყენება	X	X	ტელე-რადიოდადასხვამასმედიისსაშუალებებისგამოყენებითინფორმაციაგავრცელებულია	გადაცემებისადასტატიებისრაოდენობა			
		ბეჭვითი სახით ინფორმაციის გავრცელება (მოქალაქეთა მისაღებში ბუკლეტების განთავსება ან პოსტერის გაკვრა)	X	X	ბეჭვითი სახით ინფორმაცია გავრცელებულია	ბუკლეტებისა და პოსტერების რაოდენობა			
	თანამშრომელთა თვითშეფასების მექანიზმის	თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების შემუშავება და დახვეწა	X	X	თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები შემუშავებულია	შემუშავებული დოკუმენტები			

	შემუშავება და პრემირების სისტემის გამართვა	თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	X	X	თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები/ტრენინგები უზრუნველყოფილია	1.ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, 2.გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა 3. სერტიფიკატები			X
		თანამშრომელთა თვითშეფასების კრიტერიუმების შემუშავება	X	X	თანამშრომელთა თვითშეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია	შემუშავებული დოკუმენტები			
		თანამშრომელთა თვითშეფასების ელექტრონული პორტალისშექმნა	X		თანამშრომელთა თვითშეფასების ელექტრონული პორტალისშექმნა	შეფასებული თანამშრმლების რაოდენობა			
	მამხილებელთა ინსტიტუტის მხარდაჭერა	ელეტრონული მხილების მოდულის www.mkhileba.gov.ge ინტეგრირება ვებ-გვერდზე			ელეტრონული მხილების მოდული ინტეგრირებულია მერიის ვებ-გვერდზე	განახლებული ვებ-გვერდი			
		მამხილებელთა ინსტიტუტის თაობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	X	X	მამხილებელთა ინსტიტუტის თაობაზე საზოგადოება ინფორმირებულია	ანგარიში განხორციელებულ იღონისძიებების თაობაზე	ადმინის ტრაციუ ლისამსახ ური		
	ეთიკისა და ქცევის კოდექსის ზოგადი წესების შემუშავება და დანერგვა	ეთიკისა და ქცევის კოდექსის ახალი წესების ეფექტიანი აღსრულების მექანიზმების შექმნა	X	X	შექმნილია წესების ეფექტიანი აღსრულების მექანიზმები	კოდექსის აღსრულების მარეგულირებელი დოკუმენტი			